F581/2 №13376

სოციალდემოკრატიული ფურცელი

ქუთაისი, ხუთშაბათი, 15 დეკემბერი 1905

ნომერი 3 კაპეიკი. * ბეჭდიზედ ბეჭედი *

რუსეთის სოციალ-დემ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 2. ყოველ-დღიური გაზეთი. № 2.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Слѣдующее общее собраніе гг. членовъ **Кутаисскаго отдѣленія Всероссійскаго Союза учителей** назначается на 18 декабря с/г. съ 10 час. утра въ Реальномъ училищѣ.

Предметы занятій: 1) утвержденіе мѣстнаго устава; 2) перебаллотировка состава Бюро и делегатовъ на второй Всероссійскій съѣздъ учителей.

რედაქციისაგან

— 1577

გაზეთი „გაფიცვის“ რედაქცია აუწყებს მკითხველებს, რომ ვინაიდან შესაძლებელი შეიქნა აგვეღო ნება-რთვა ლეგალური გაზეთის გამოსაცემათ, დღეიდან გაზეთი გამოვა ახალი სახელითა „სოციალ-დემოკრატიული ფურცელი“, რომელიც „გაფიცვის“ გაგრძელება იქნება. გაზეთის პროგრამა ზე ლაპარაკი ზედმეტია, ამას გვაუწყებს თვით ორგანოს სახელი. რედაქცია სთხოვს ყველა რაიონების ამხანაგებს როგორც სოფელში, ისე ქალაქში მოგვაწოდონ ყოველგვარი საჭირო ცნობები.

რუსეთის ჯარი და რევოლიუცია.

რუსეთის თვითმპყრობელობა საშინელის სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ; მას დღითი-დღე ხელიდან ეცლება ბრძოლის იარაღი და საშვალება. უძლიერესი იარაღი უკვე გამოეცალა ხელიდან: ნივთიერათ გაკოტრდა, ფული აღარ აქვს; თუ დღეს თვისი პირით არ აცხადებს ამას, ხვალ მაინც იძულებული შეიქნება ქვეყანას აუწყოს, კოტორი ვარ და სული მხდებაო. აი სწორეთ ამ დროს კარგავს იგი მეორე საშინელ იარაღს, ამ დროს უცხადებს მას ჯარი უნდობლობას და ღალატის გზას ადგება. რევოლიუციის ალი მასაც მოედო, შეანგრია ყაზარმის კედელი, შეაშფოთა, აახმაურა, აბობოქრა და აჯანყების გზაზედ დააყენა იგი. გუშინდელი თვითმპყრობელობის ყურმოჭრილი მონა-მორჩილი, ყოველ უფლებას და ადამიანურ ცხოვრებას მოკლებული სალდათი, ეს ზარბაზნისათვის გამზადებული ლეში, დღეს მოქალაქეთ სცნობს თავს, მეფეს მუქარას უგზავნის და აჯანყებულ ხალხის ბანაკში გადადის. ჯარი, თანამედროვე მილიტარიზმი, მთელი თავისი თოფ-ზარბაზნით და ტყვიის მფრქვეველით ნაყოფია კაპიტალისტური წარმოებისა. რუსეთის თვითმპყრობელობა დღემდის არხეინათ სარგებლობდა ამ ნაყოფით და სულს ხდიდა ხალხს. სანამ ჯარი, შეიარაღებული ახალი სისტემის იარაღით მთავრობისაკენ იყო, მას თავი უცილობელ ბატონათ უჩნდა, მეფის ტახტი მიუდგომელ სიმაგრეთ მიაჩნდა, ბიუროკრატია ამაყათ გამოიყურებოდა და ხალხის სისხლის სმით სტკბებოდა. ხალხმა რევოლიუციის დროშა ამართა, თვითმპყრობელობას კისერი მოუგრიხა ხ ხალხის შვილი, სალდათიც მიხვდა, რომ ის დღემდის ემსახურებოდა და იცავდა ხალხის მოსისხლე მტერს, მეფეს და თვითმპყრობელობას, რომ მშრომელი ხალხი, რომლის სისხლსაც ის დღემდის ღვრიდა თვითმპყრობელობის მთავრობის ბძანებით და სახელით, მისი მოძმეა და არა მტერი, რომ ის შავი პური, რომლითაც მას კვებავდენ, მშრომელი ხალხის ნაწელგულებია და არა მეფის მოწყალება. დიაღ, მიხვდა იგი ყოველივე ამას და აღამაღლა კიდეკ ხმა თვისი მონობის წინააღმდეგ.

სამეფო ტახტი კიდევ უფრო მაღლა მოიტიტივა რევოლიუციის ტალღებმა. თვითმპყრობელობასთან ერთათ რევოლიუციის ტალღებს ზემოთ მოიქცა აფიცრობაც. მანჯურიაში დამარცხებული და მიწასთან გასწორებული მეფის მცველნი და ერთგული ყმები, აფიცრები, აქ რევოლიუციის ქარცეცხლის ჩაქრობით ცდილობდენ სახელი და დიდება აღედგინათ. ახლა იგინიც ხედვენ, რომ ბოლო ელება მათ პარაზიტულ ცხოვრებას, პენსიებს, პრივილეგიებს, განცხრომას და ბატონობას. ამიტომ იგინი ლამობენ შეერთდენ, ძალა მოიკრიბონ და უკანასკნელათ იერიში მიიტანონ რევოლიუციონურ ძალთა წინააღმდეგ; თვითმპყრობელობასთან ერთათ უკანასკნელ ღონეს ხმარობენ, რომ დიადი ისტორიული მოძრაობა შეაჩერონ და კვლავ გაბატონდენ, მაგრამ გვიანლაა. რევოლიუციამ მათ უკვე დასდვა თვისი მსჯავრი: უჯარო სარდლები მეფის ტახტთან ერთათ დაიმარხებიან. ვერავითარი აღთქმა-დაპირებანი მათ ველარ უშველის. ჯარის შეგნებული ნაწილი, რომელიც საათობით იზრდება, მოითხოვს დღეს ნივთიერ პირობების გაუმჯობესებასთან ერთათ პოლიტიკურათ განთავისუფლებასაც; ამას კი მისცემს მას განთავისუფლებული, თვითმპყრობელი ხალხი და არა აფიცრები. რა თქმა უნდა, ჯარს ახლა თავის მეგობრობას რევოლიუციისაგან შეძრწუნებული ბურჟუაზიაც მიაწვდის. ბურჟუაზია უკვე თავდარიგს იჭერს, რადგან კარგათ გრძნობს, რომ მალე მასაც დასჭირდება შტიკები, მაგრამ რამდენათაც

ფელეტონი

კალეიდოსკოპი.

ქუთაისში დიდი ამბებია. რომელ ერთზე გესაუბროთ, მკითხველო! ამისთანა დროს მეფელეტონეს ორმოც და ათი წყვილი ყური უნდა ესხას და ამდენივე თვალი. მე, როგორც ყოველ უბრალო მომაკვდავს, მხოლოთ ერთი წყვილი თვალი მაქვს და ამდენივე ყური, და როგორ გნებავთ, ახლა ყოველივე საყურადღებო და არა საყურადღებო ამბები მოგვწოდოთ. ისევ სჯობია, ჩემი ტელესკოპით აღვიჭურვო, „თამარას“ ბალში მოხერხებული პოზიცია დავიჭირო და იქიდან შევიჭვრიტო სხვა და სხვა კაბინეტებში. აი მეც მზათა ვარ! აბა, სმენა და ყურადღება! თფილისის ქუჩაზე, ფქვილის საწყობს ზემო გაჩირაღდნებულ შუშაბანდის ფანჩატურში, მაგიდასთან ზის ერთი ტანმორჩილი, რევულიუციონურათ გრძელ-თმა გადაშლილი ახალგაზდა და რაღაცასა სწერს. მეორე—ისიც ახალგაზდა, ისიც არა ახოვანი, თმახუჭუჭა კუნჭულში ერთ ჭალარა შერთულ, წითურ, ბუღასავით ჩაფსკვნილ, ევროპიულათ მოართულ, პენსნებიან ვაჟბატონს გაცხარებით ედავება. მწერალი ამათ უცებ დავას აწყვეტიებს.

— ლადო, მიწა და თავისუფლება, თუ თავისუფლება და მიწა?

— რასაკვირველია, თავისუფლება და მიწა! დავას ისევ განაგრძობენ.

თმახუჭუჭა—ჭალარას:—რას ამბობ, რის სკანდალი! კაცო და, ამას ეძახი სკანდალს? შენ ამბობ ამას, ძველი, ცეცხლში და ჯანდარაში გამოვლილი რევოლიუციონერი!..

— სკანდალია, მა რა ეშმაკია, სხვა სიგლახესთან იმდენი წინდახედულებაც ვერ გამოგიჩენიათ, რომ პარტიის წარმომადგენელათ კომისიაში ცოტა უფრო ფაქიზი ზნეობის ადამიანი ამოგერჩიათ. ხომ ნამდვილათ დაუმტკიცდა ჩვენს წარმომადგენელს ქურდობა!..

— ერიჰა! მაშ შენ კონფისკაციისა და ძალით წართმევის წინააღმდეგი ყოფილხარ!

— კაცო, რის კონფისკაცია, ნათლათ დაუმტკიცდა, რომ პარკი მოუპარავს, ქურდი ყოფილა.

— შენ, ამხანაგო, სუბიექტიურათ სჯი. იმ კაცმა რევოლიუციური გზით მიითვისა პარკი. ეს ჩვენ პრინციპს სრულიადაც არ ეწინააღმდეგება.

— ვინ მოგახსენა, სუბიექტიური კი არა, ნამდვილი ობიექტიურია, თვალსაჩინო მოვლენაა. თვალით ნახეს, რომ მოიპარა. მედუქნეებთან რომ ბერდანით შეიარაღებული ჩვენი რაზმელები მიდიან და თქვენი მიწერილობით ზოგს ორას მანეთსა თხოვენ და ზოგს სამას-ოთხას, ესეც სუბიექტიურია?

— რა თქმა უნდა, სუბიექტიურია. ლიპიანი ბურჟუები, მათმა სიცოცხლემ, ნებით მოგვართმევენ. რა თქმა უნდა, ძალათ უნდა დააძრო. ნუ გავიწყდება, ამხანაგო, რომ დღეს რევოლიუციაა, ყველაფერი შესაწყნარებელია. ვისაც მოერიო, წაართვი, წაგლიჯე, წაღლიტე!..

კარი იღება და შედიან მუშები. მუშები გრძელთმიანს:

— ერთი გვიბრძანეთ, ჩვენ პრტიის წევრათ ვითვლებით, თუ არა?

— რისთვის მკითხავთ?

— რიგორ თუ რისთვის! კლუბი დააარსეთ, ჩვენ არ დაგვეკითხეთ, წითელი რაზმი შეადგინეთ, არც მაშინ დაგვეკითხეთ, არც ლექციებია ჩვენოვის და არც რა.

— ლექციაო?—მოვარდება თმახუჭუჭა. ჩვენ არ წაგვიკითხავს ლექცია! განა დაგავიწყდათ, რომ მარქსსა და დიალექტიურ მატერიალიზმს თეატრში ტყავი ავაძრე და ნაცარ-

წინ მიდის ჯარის თვითცნობიერება, რამდენათაც ფართოვდება რევოლიუციის მოწინავე რაზმის, პროლეტარიატის გავლენა, იმდენათ ჯაფი რწმუნდება, რომ ხალხის თვითმპყრობელობა ერთათ ერთი პირობაა სალდათის მონობისაგან განთავისუფლებისა, რომ ვერც მეფე და მისი მთავრობა, ვერც აფიცრები და ვერც ბურჟუაზია მას ასეთ თავისუფლებას ვერ მისცემს. რევოლიუციით უკვე ნათელყოფ ეს და მით ერთი ირაღი კიდევ გამოსტყორცნა მთრთოლარე ხელიდან თვითმპყრობელობას ‌ᲔᲑ განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს გადასცა.

ახალი ამბები.

*** სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის ქუთაისის განყოფილების საზოგადო კრება დანიშნულია 18 დეკემბერს, დილის 10 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში.

გასარჩევი საგნებია: ა) ადგილობრივ წესდების დამტკიცება; ბ) ხელახალი არჩევნები ბიუროს წევრებისა და მეორე სიეზდზე გასაგზავნი დელეგატებისა.

*** ქუთაისის ეპარქიალურ საქალებო სასწავლებელში, რომელიც ამა დეკემბრის სიეზდზე სამღვდელოებამ უკვე დახურა, სასწავლებლის რჩევამ სწავლა გუშინ დღიდან უკვე შეაჩერა 8 იანვრამდი. უფროსი კლასების ქალიშვილებს სტუდენტი წულეისკირი უკითხავს სასწავლებელში ლექციებს პოლიტიკური ეკონომიიდან.

*** სამღვდელოების უკანასკნელ სიეზდზე დიდი კონფლიკტი (შეტაკება) მოხდა საეპარქიო საქმეების მართვა-გამგეობის შესახებ. დღემდი ეს საქმეები ადგილობრივ ეპისკოპოზის ხელში იყო და მათი მართვა-გამგეობაც მის უფლებას შეადგენდა. ახლად ამორჩეულ კომისიას შეუმუშავებია ახალი წესები, რომლითაც ეპისკოპოზის უფლებები რამდენათმე იზღუდება, საქმეებს განაგებს სამღვდელოების რჩევა. კომისიის პროექტი სამღვდელოებამ მიიღო ამის გამო ეპისკოპოზ-ლეონიდემ იმავე ღღეს დატოვა კრება და რამოდენიმე მღვდლების თანახლებით წავიდა თფილისში, რათა იქაურ სამღვდელოებას მაინც არ გააყვანინოს ასეთი პროექტი მართვა-გამგეობისა. ეპისკოპოზის წასვლის მეორე ღღეს თფილისში კომისიის წევრებიც (ს. ლეკვეიშვილი, დ. ჩხაიძე და არ. ბოჭორიშვილიც) წავიდენ, რათა იქაურ სამღვდელოების წინაშეც დაიცვან თავიანთი პოზიცია.

*** წუხელი სასტუმრო იალტაში ძმა-ბიჭებში ქეიფის დროს თ-დ მაჭუტაძეს რევოლვერი გავარდნია უცაბედათ და ტყვია მასვე მოხვედრია ბარძაყში. დაჭრილი თოფურიასეულ საავათყოფოში დააწვინეს.

*** სოფ. კვახჭირის გლეხებს თ-დ წულუკიძისთვის ოთხი თვით ბოიკოტა გამოუცხადებიათ საბალახოების გამო და მოსამსაეურეებს აღარ აკარებენ.

*** გუშინ დილას დაბა ყვირილიდან ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი საგანგეგმატარებელით.

*** 12 დეკემბერს მთავრობამ შეაჩერა გამოცემა ყოველ-დღიურ სოციალ-დემოკრატიულ რუსული გაზეთის „Кавказскій рабочій листокъ“

*** 13 დეკ. გამოდის მის მაგიერ ახალი სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „Елисаветпольскій листокъ“.

*** დღეს, 15 დეკემბერს, ქუთაისისის დრამატიული დასისაგან ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება იბსენის 5 მოქმედებიანი პიესა ექიმი შტოკმანი.

*** 11 დეკ. თფილისში გამოცხადდა საერთო გაფიცვა. დაიკეტა დიდი მაღაზიები; ტრამვაი მუშაობს. რკინის გზა მუშათა ორგანიზაციის ხელშია; ვაგზალს იცავს მილიციონერები. მატარებელი მხოლოთ რევოლიუციონურ საჭიროებებისთვის დადის.

*** 11 დეკ. მოხდა ნაძალადევში დიდი სახალხო კრება. ორატორები უხსნიდენ ხალხს ახლანდელ საერთო გაფიცვის მნიშვნელობას, ვიტეს და დურნოვოს პოლიტიკას, რეაქციის სიძლიერეს და სხ. და იწვევდენ ხალხს შეემზადონ შეიარაღებულ აჯანყებისათვის, რომელსაც ღღეს თუ ხვალ უნდა მოველოდეთო.

*** როგორც დაჟინებით ამბობენ რკინის გზები სამხედრო უწყების ხელში გადავა ახლო მომამალში.

---

* * *

ამას წინათ ქუთაისის მასწავლებელთა კავშირის კრებაზე ერთხმათ დაადგინეს, რომ სასწავლებლების პედაგოგიურ კრებებს მიენიჭოს სრული ავტონომია. მასწავლებლების მოწვევა თელათ უნდა იყოს დამოკიდებული საბჭოს გადაწყვეტილებაზე: იმ ღღიდან მთავრობისაგან დანიშნული მასწავლებელი არც ერთ პედაგოგიურ საბჭოს არ უნდა მაეღო. სწორეთ ასე მოიქცა ქუთაისის გიმნაზიის საბჭო შესახებ საღვთო სჯულის მასწავლებლის ერმალოზ კანდელაკის დანიშვნისა ხსენებულ გიმნაზიის მასწავლებლათ. პედაგოგიური საბჭო სრულიათ სამართლიანათ მოიქცა, როდესაც კანდელაკს მოახსენა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თქვენი მიღება სასწავლებლის მასწავლებლათ, რადგან დანიშნული ხართ ამ ადგილზე ოლქის მზრუნველისაგან და არა ჩვენგან. არჩეულ-ი მამა კანდელაკი, რასაკვირველია, ცოდვა-ნაყენი დარჩა ამგვარი მისთვის არა სასიამოვნო გადაწყვეტილებით და შეუდგა თავისებურ ხრიკებს. ჯერ მასწავლებელთა კავშირის ბიუროს წევრებს მიმართა სათითაო თხოვნით, რომ მათ დახმარება აღმოეჩინათ მისთვის ამ საქმეში და დაეევალებიათ გიმნაზიის მასწავლებლებისათვის კანდელაკის მიღება. აქ რომ ვერაფერი გააწყო თავის ხრიკებით მერე გიმნაზიის მოსწავლეების დელეგატებს მიმართა და ესენი როგორც გულეთილი ახალგაზდანი დაითანხმა, რომ მათ მოითხოვონ კანდელაკის აუცილებლათ მიღება საღვთო სჯულის მასწავლებლათ.

ახლა, როგორც გავიგეთ, დელეგატებს მართლა მოუთხოვია მასწავლებლებისაგან კანდელაკის მიღება. ეს უთუოთ რაღაც „недоразумѣніе“ უნდა იყოს, თორემ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია რა საფუძველი ექნებოდათ დელეგატებს ასეთი მოთხოვნისა. ძნელი დასაჯერებელია, რომ გიმნაზიის მოსწავლეებმა არ იცოდენ, თუ რა ვაჟბატონი ბძანდება მამა ერმალოზ კანდელაკი. ვინ არ იცის, რომ ეს კანდელაკი ის ბლალოჩინია, რომელიც ცნობილია როგორც ქულაშის ბნელი ძალების წარმომადგენელი. ამ ვაჟბატონს ისიც კი უთქვამს, რომ კომიტეტმა გადაწყვიტა უთუოთ მე მომცენ ეს ადგილი, მაგრამ აბა რა დასაჯერებელია ეს? კომიტეტმა კი კარგათ იცის, თუ ვინ ბძანდება ეს კანდელაკი, და საკვირველია რათ ინება მამა ბლალოჩინმა ასეთი სიცრუის ბძანება?

კითხვა გადაწყვეტილია, მასწავლებელს იღებს პედაგოგიური საბჭო, საზოგადოების და უფროსი კლასების წარმომადგენელი მოსწავლეები. ამიტომ კანდელაკიც უნდა დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას.

ტუტათ ვაქცე? ახლაც ქალების გიმნაზიაში ვაპირებ ლექციების კითხვას. მეტს კიდევ რასა ძთხოვთ?!

— თეატრში რომ შენ უჩენიკებს და ჩინონიკებს რაცხა რუსულათ ებჟუტურე, მე ამით რა შემეძინა. ახლა კიდევ ბარიშნებს უნდა წაკუკითხოო... ქე არ ამიშენდა ოჯახი! მე თქვენა გკითხავ, ჩემს გასაგონ ენაზე როდის მასწავლეთ რამე?

— შენ ჩემო ძმაო, ბევრი ლაპაკი გცოდნია!

— ახლა ბძანებ ამას? დაგავიწყდა, პირველათ რომ მობძანდით, როგორ გვეხვეწებოდით. ჩვენ შემოგვიერთდითო. სოციალდემოკრატები თქვენს გაპროლეტარებას, გალატაკებას ცდილობენ, ჩვენ კი გაგაკეთებთ, გაგამდიდრებთ, ლალიძის ქარხანას და სხვებსაც თქვენ დაგისაკუთრებთო. რომ გავბრიყვდით და შემოგიერთდით, ახლა გვეუბნებით ამას?

— თუ ჩვენი პარტია არ მოგწონთ, შეგიძლიათ ბიბძანდეთ, ჩვენ სხვა მუშებიც საკმაოთა გვყავს.

— რომელი მუშები? სადა გყავთ უშები! იქნება მუშები ბგონიათ ზოგიერთი თქვენი...

უცებ ქაქანით შემორბის მოხუცი დახეულ კაბიანი დედაკაცი.

— იუდეებო, უსინდისოებო, ავაზაკებო, რას მერჩით, რათ მართმევთ ეზოს?!

— ხომ არ შეშლილხარ დედაკაცო! იცი სადა ხარ? აქ ხომ სოციალ-რევოლიუციონერთა კომიტეტია?

— კამიტეტები იყავი, გინდა რევოლიუცია, რას დავეძებ, ამის მეტს რას მიზამთ, ეზო წამართვით, პირიდან ლუკმა გამომგლიჯეთ!

რას ამბობ დედაკაცო, რა ეზო, ვინ წაგართვა?

— ვინა და ჩემმა მეზობელმა. თქვენი ტელორისტები მოიყვანა, ეზოზე ჩამომიჭრეს და მას ჩაუღობეს.

— წაგართვა და წაართვი შენც!

— რაფერ წავართვა მე საწყალმა დედაკაცმა! ასე მითხრეს: ჩვენ რევოლუციების ტელორისტები ვართ, თუ ღობისათვის ხელი გიხლია, სულ ამოგჟუჟავთო.

ფანჯარაზე ფარდა ჩამოუშვეს. ველარაფერსა ვხედავ. აბა სხვა მხრივ მივმართო ჩემი ტელესკოპი!..

შვენიერ, კოხტათ მორთულ სასტუმროში, მხიარულათ მოგიზგიზე ბუხარს სამი ინტელიგენტი მოჯდომია და ჩაის მიირთმევენ.

— ბატონო სოლომონ! ყველა პარტიები კლუბს იარსებენ და ჩვენ კი ჯერ ამაზე არაფერი გვიფიქრია. სირცხვილია, რას იტყვიან, შეძლება რომ არ გვქონდეს კიდევ ჰო, მარა ჩვენს პარტიაში სულ შეძლებული ხალხია და ფულიც კარგათ შემოაქვთ. მე მგონია, დროა, ახლა მაინც ვიზრუნოთ ამაზე.

— რასაკვირველია, უნდა ვიზრუნოთ, ამხანაგო, მარა მე თქვენა გთხოვთ, ამის შემდეგ ბატონობით ნუ მომმართავთ. ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ თუმცა ფედერალისტები ვართ, მარა მასთან სოციალისტებიცა ვართ. სოციალისტები კი ერთმანეთს ამხანაგობით იხსენიებენ.

— დასწყევლოს ღმერთმა, არ იქნა, ვერ გადავეჩვიე. ხომ იცი, ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო. დედა ჩემი-მამა ჩემს, მამა ჩემი-დედა ჩემს, ჩვენ პატარაები-ორთავეს და მსახურებიც ყველას ჩვენ სულ ბატონებს გვეძახდენ. ეს ბატონობა ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი და, როგორ გნებავს, ასე მალე მოვიშალო.

— აბა რომელი სახლი გამოგვადგება კლუბისთვის?

— აი, კაცო, ჩვენი სალომე რომ იდგა, ზედგამოჭრილია კლუბისთვის. დარბაზიც დიდია და შიგ შუაგულ ქალაქშია, გიმნაზიის პირდაპირ.

პარტიიდან

—

სამშაბათს სალამოს სოც.-დემოკრატიულ კლუბში მოხსენება წაიკითხა პეტერბურგში მომხთარ კონფერენციის შესახებ ჩვენი კომიტეტის დელეგატმა. დიდ ძალი ხალხი მოაწყდა ჩვენ კლუბს, ასე რომ ადმინისტრაცია იძულებული გახთა ადგილის უქონლობის გამო ბევრი მსურვილისათვის უარი ეთქვა. მოხსენება იყო კონფერენციის დადგენილებებზე, რუსეთის რევოლიუციონურ მდგომარეობაზე საერთოთ და კერძოთ ჩვენი პარტიის ვითარებაზე. კონფერენციის ზოგიერთა დადგენილებებმა კამათი გამოიწვია. კამათის შემდეგ ერთმა ამხანაგმა მოკლეთ დაუხასიათა კრებას ბაქოში მოკლულ ამხანაგი **მოლტინის** მოღვაწეობა და წინადადება მისცა კრებას პატივი ეცათ მისი ხსენებისათვის ფეხზე წამოდგომით და სამკლოვიარო მარშის („Вы жертвой пали...") მღერით. ამხანაგის წინადადება სისრულეში იქმნა მოყვანილი. კრება დაიშალი 10 საათზე.

—

სამშაბათს, 13 დეკემბერს, სალამოს მოხდა კრება რაიონთა ორგანიზაციის ქუთაისის კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. კრებამ იქონია მსჯელობა ქალაქის საერთო გაფიცვაზე და დადგინა შემდეგი: 1) რადგან დღევანდელი გაფიცვა არ არის მოკლე გადით და მას დემონსტრატიული ხასიათი არ აქვს 2), გაფიცვის დაბოლოება დამოკიდებულია საერთო რევოლიუციონურ მსვლელობაზე, მიზანი კი რეაქციის გატეხა და მთავრობის გაკოტრებაა, 3) რომ ჩვენი ქალაქის გაფიცვას ამ მიზნისათვის არ ექნება იმოდენი მნიშვნელობა, პირიქით შესაძლოა კონტრ-რევოლიუციას ხელი შეუწყოს, რადგან უმისოთაც უსანოვაგოთ შეწუხებულნი მცხოვრებნი, ჩავარდებიან უმწეო მდგომარეობაში, ამიტომ რაიონის ორგანიზაციამ დადგინა ქალაქის გაფიცვა ჯერჯერობით არ მოხდეს, ხოლო მთავრობის და სხვა დაწესებულებათა გაფიცვის საკითხი შემდეგ დღისათკის გადიდვა.

მეორე საგანი, რომელიც განიხილა კრებამ აოის ფარმაკევტთა კავშირის გაფიცვა; უნდა გაიფიცონ თუ არა ფარმაცევტები საერთო პოლიტიკურ გაფიცვის დროს? რაიონის კრებამ ზედმეტათ მიიჩნია გამოეტანა ერთხელ და სამუდამოთ გადაჭრილი პასუხი ამ საკითხის შესახებ და უმჯობესათ სცნო მისი გადაჭრა ყოველ გაფიცვის დროს მისი ხასიათის მიხედვით.

—

ქუთაისის კომიტეტმა ყვირილის რაიონის ორგანიზაციიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: შეგვატყობინეთ რა ტაქტიკას ადგია ქ. ქუთაისი გაფიცვის დრო, დაკეტილია დუქნები თუ არა.

ქუთაისის კომიტეტმა მისცა პასუხათ ზემოთ მოყვანილი დადგენილება ქუთაისის კომიტეტის რაიონული ორგანიზაციის.

ჟანი და მადლენა.

(მირბოს დრამა)

წარსულ კვირას ჩვენს სცენაზე წარმოადგინეს მირბოს დრამა ჟანი და მადლენა, რამაც დიდი საზოგადოება მიიზიდა. მოკლეთ პიესის შინაარსი შემდეგია: ახალგაზდა მუშის, ჟან რულის, მეთაურობით მდიდარ მეფაბრიკეს არგანდს მისი მუშები წარუდგენენ სხვა და სხვა მოთხოვნილებებს, სადაც უმთავრესი ადგილი უჭირავს რვა საათის სამუშაო დღეს. რადგანაც არგანდი არა თუ არ დააკმაყოფილებს არც ერთ მოთხოვნილებას, მუშების წარმომადგენლებს გარეთ გაყრის და ჯარს გამოიწვევს მუშების წინააღმდეგ. მუშები გაიფიცებიან, ჯარს ბარიკადებით დახვდებიან და შეებრძოლებიან; ბრძოლა იმსხვერპლებს ბევრ საუკეთესო მუშებს, მათ შორის ჟანსა და მის ცოლს მადლენას. ბარიკადებზედვე კვდება არგანდის შვილი რობერტი, რომელიც მთელი თავისი არსებით მუშათა მომხრეა.

პირველი მოქმედება სწარმოებს მოხუცი მუშის ლუი ტიეს ქოხში. ქოხის კარებიდან მოჩანს ლითონის ჩამოსასხმელი ქარხანა, საიდანაც მანქანების გუგუნი და მუშების ხმაურობა საგმირო და თან ოხვრით სავსე მუსიკასავით მოისმის. ქოხის მეორე განყოფილებაში სულს ებრძვის ლუი ტიეს მეუღლე, რომელსაც აუტანელმა ჯაფამ დღე მოუსწრაფა. ჟანრული არწმუნებს მოხუც ტიეს მთელი თავისი ენერგიული მჭევრმეტყველებით, შემოუერთდი უკმაყოფილოთა რიცხვს, გატყდი, აღიარე შენს ბატონში, როგორც შენი, ისე ყველა მუშების მტერიო, მაგრამ ტიე შეურყეველია, ის ერთგულია თვისი ბატონის და მასთან ერთათ მისი ქალი მადლენაც. არგანდის ქალი ჟენევიევა და ვაჟი რობერტი ინახულებენ მადლენას მომაკვდავ დედას, მოუტანენ მას ღვინოს და საჭმელს და ამის დანახვაზე ჟანის სიბრაზესა და ზიზღს ბურჟუებისადმი საზღვარი არა აქვს. რობერტს გაიტაცებს ჟანის ენერგიული გამომეტყველება, უცხადებს: მე თქვენი მეგობარი ვარო, და ხელსაც უწვდის, მაგრამ ჟანი უარყოფს მას, პირდაპირ ეუბნება: შენ მამიშენისაგან ხარ მოსყიდული, რომ მუშების კენჭი იშოვნოვო, და უცხადებს, — ჩვენს შორის არაფერი არ არის საერთო, შენ სიტყვით ხარ ჩვენი ქომაგი, საქმე მიჩვენე, საქმეო. მეორე მოქმედება წარმოადგენს არგანდის მდიდრულ ზალას; აქ თავშეყრილი ბურჟუები ერთი ერთმანერთს უზიარებენ აზრსა და ეენევიევა — ეუბნებიან: პროლეტარიატის ზნეობრივათ ამაღლება შეუძლებელია, მუშებს რა აქვთ სამდურავი? ისინი ბედნიერები არიან, ჩვენ ვართ უბედური და, თუ ისინი მაინც „პუნტობენ", უნდა მუხრუჭი მოვუჭიროთ, ჟანდარმებისა და ჯარის დახმარებით მუსრი გავავლოთ, რომ ჭკუა ისწავლონო. მათ მუსაიფს შემოუსწრებს თვითონ არგანდი, რომელსაც მისი კოლეგები მუშათა ყვლეფაში არიგებენ: რაც შეიძლება სასტიკი ზომები მიიღე შენი მუშების წინააღმდეგო. ამ დროს მოისმის ქუჩიდან მუშების კიჟინა. მარსელიეზის სიმღერა და კიჟინა თანდათან ახლოვდება, ბურჟუებს ფერი ეცვლებათ; ისინი ემუდარებიან არგანდს: კარები მაგრათ ჩააკეტინეთ, რომ აქ არ შემოვარდენ, და თვითონ კი სახლში გაიპარებიან. მესამე მოქმედება წარმოადგენს არგანდის კაბინეტს. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ არგანდი გადაწყვეტს ჯარის გამოწვევას მუშათა წინააღმდეგ და თან თავის მოურავს მეგრეს არიგებს, ისე მოაწესრიგეთ საქმე, რომ ჯარსა და მუშებს შორის შეტაკება არ მოხდესო. მამა-შვილს შორის აქ კამათი ატყდება; ორივენი რწმუნდებიან, რომ ერთათ ყოფნა, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება მათ აღარ შეუძლიათ და ამიტომ მამა ითხოვს შვილს სახლიდან. ამ დროს მოდიან არგანდთან მუშათა წარმომადგენლები თავისი მოთხოვნილებით, რომლის დაკმაყოფილებაზედაც არგანდი სრულს უარს განუცხადებს. მეოთხე მოქმედება წარმოადგენს ტყეს, სადაც თავმოყრილია მუშები და მათ შუა ქვაზე დგას ჟანი. ჟანი უქადაგებს ბრძოლის, გაფიცვის გაგრძობის საჭიროებას. მუშები ორ ნაწილათ იყოფიან; პირველი თანაუგრძნობს ჟანს, შეორე

— მერე ის სახლი ხომ ცარიელი არაა, შიგ ვიღაც ცხოვრობს.

— რა ვუყოთ, რომ ცარიელი არაა. დავაცლევინოთ.

— კი მარა დაგიცლის კი? ვინ ცხოვრობს თუ იცით?

— კ. გ—ძე.

— მე მგონია, ჩვენი პარტიის არის, დაგვითმობს-

— თუნდა ნუ დაგვითმობს, ძალათ დავათმობინებთ.

— მაშ კლუბის საქმე გათავებულია. ახლა სხვა საკითხებზე გადავიდეთ. ხომ ხედავთ; რეაქციამ თავი წამოყო; სამხედრო დიქტატურით გვემუქრება, თვითმპყრობელ მეფის ნაბოძები თავისუფლებები უკანვე მიაქვთ. პროლეტარიატი საერთო გაფიცვით სასტიკ ომს უცხადებს თვითმპყრობელობას და ჩვენ რომ ამ დროს გულხელი დავიკრიფოთ, ქვეყანა ყბათ აგვიღებს. სოციალდემოკრატები მაინც დასცინიან ჩვენ სოციალისტობას და მაშინ მთლათ აგვიკლებენ.

— ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში თუ ვინმე იღებდა მონაწილეობას, ჩვენც ვიღებდით და, რასაკვირველია, ახლაც მივიღებთ. მარა ჩვენი პირდაპირი მოვალეობა, ეროვნული გაცნობიერება არას დროს არ უნდა დავივიწყოთ. აი დღესასწაულებიც მოახლოვდა. საშობაოთ ბიჭბუჭები დაიწყებენ ტანტალს მოსალოცავათ. ისინი რომ დაჰკივლებენ „სვისტოკი ვასტოკა" და „ალათასა-მალათასა", რომელ მამულიშვილს არ აემღვრევა ზიზღით გული. ჩვენ უთუოთ უნდა გამოვცეთ პროკლამაცია, მოუწოდოთ მოქალაქეთ, სულ ქრისტის კვრით გააგდონ ასეთი **ერეგნული გრძნობის შემლახველნი** მაწანწალანი!

— რასაკვირველია, უნდა გამოვცეთ, მარა პარტიის სახელით კი არა, რომელიმე ჯგუფის სახელით. თვარა ეს შეჩვენებული სოციალ-დემოკრატები თავიანთ ახალ გაზეთში მთლათ ლაფში ამოგვსვრიან. კაცო, რა უბედურებაა! რამდენი ხანია, ჩვენ გაზეთის გამოცემის ნებართვა მივიღეთ და არ იქნა და არა, ვერ მოვახერხეთ, იმათ კი გუშინ სთქვეს: გამოვცეთო და დღეს კიდეც გამოსცეს

— აჩქარებით სოფელი არავის მოუპამია. თუ აქამდის არ გამოვეცით, ამას პატივსადები მიზეზებიც ქონდა. ერთი რომ აქაური სტამბები ყოვლად უვარგისია და მეორე ისა, რომ ასოთ-ამწყობების თავგასულობას საზღვარი არა აქვს: იფიცებიან, თხოულობენ რვა საათის სამუშაო დღეს, ხელფასის მომატებას და ვინ იცის კიდევ რას. რომ იმათ თავხედობისაგან დამოუკიდებელნი დავრჩეთ, მე განვიზრახე ნიუიორკიდან გამოვიწერო საბეჭდავი და ასოთ-ამწყობი მანქანა. როგორც კი მივიღებთ, მაშინვე შევუდგებით გამოცემას.

— მაშ, „სვისტოკი ვასტოკას" შესახებ პროკლამაციას სოლომონი დაგვიწერს და რომელიმე ჯგუფის სახელით გამოუშვებს.

— ძალიან კარგი. აბა ახლა წავიდეთ კ. გ—ძესთან და კლუბისათვის სახლი გამოვართვათ.

— წავიდეთ.

ბატონი სოციალისტები მიდიან და მეც ჩემს ტელესკოპს ი? სახლისკენ მივმართავ.

აი, ჩამორეკეს ზარი; კარები გაიღო. სოციალისტები კიბეზე ადიან. მასპინძელი დარბაზის კარებში სტუმრებს მხიარულათ ეგებება.

— მობძანდით, მობძანდით! რით

კი მას ემუქრება: დაგვლუპე, დაგვამშიე, ჩვენი ფული შეჭამე და ჩვენ კი მოგვატყუეო. ზოგიერთი უკმაყოფილონი ხელითაც კი მიიწევენ ჟანზე, მაგრამ მათ შუა ჩავარდება მადლენა, რომელიც თავის აგზნებულ სიტყვებით მოხიბლავს მუშებს, ჩააქრობს მათში უკმაყოფილებას და წითელი დროშით ხელში გააქანებს ყველას ბრძოლის ველზე. მეხუთე მოქმედება წარმოადგენს ბარიკადებთან ბრძოლას. მუშებმა აიღეს ბარიკადები, რომელთა გარშემო ყრიან გაგმირული ამხანაგები. მალე გაჩნდებიან თმა გაშლილი ქალები; წივილ-კივილით ზოგი ქმარს ეძებს, ზოგი ძმას. აქვე ვხედავთ მოხუცტიეს, რომელიც ჭკუაზე შერყეულა ჯავრისა ტ მწუხარების გამო. ქალების ტირილში ის სულ ერთსა და იმავეს იმეორებს: დღეს ანგარიშს გაგვისწორებენო. სასიკვდილოთ დაჭრილ მადლენას მონახვენ ქალები. მალე მოასვენებენ მოკლულ ჟანს და რობერტს. მადლენა გონს მოვა, წივილით დაეკონება თავისი ჟანის ცხედარს, უკანასკნელ ძალას მოიკრებს და შესძახებს იქ მყოფთ: ნუ ვტირით, შური ვიძიოთ, სისხლი ავიღოთ; მე შვილი დამიტოვა ჟანმა და იმას აღვზრდი ისე, რომ მამის სისხლი ამოიგოსო. ამ სიტყვებზე მადლენა უსულოთ დაეცემა. ბარიკადებშივე ვხედავთ არგანდს, რომელიც თავის შვილს ეძებს. მისი ცხედრის წინაშე ის რწმუნდება, რომ მთელი ის სიმდიდრე, რომელსაც ის აგროვებდა, სისულელეა. პიესაში გრძნობას გაცილებით მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე აზრს. მებრძოლი გულით იბრძვის, მისი გრძნობა გატაცებული, აზღვავებული უნდა იყოს, მაშინ არ ეშინია მას თვით სიკვდილისაც, ხოლო გულს

შემიძლია გემსახუროთ.

— არაფრით. აქ ჩვენ კლუბი უნდა გავხსნათ, სახლი უნდა დაგვიცალოთ!

— როგორ თუ კლუბი! მერე მე სად წავიდე?

— სადაც გნებავთ. თუ ნებით არ დაგვიცლით, ხომ იცით, ჩვენ სოციალისტ-ფედერალისტები ღვიძლი ბიძაშვილები ვართ სოციალრევოლიუციონერებისა, — ძალით, რევოლიუციური გზით დაგაცლევინებთ!

სოციალისტები გადიან.

მასპინძელი სახტათ რჩება...

ბელზებელი.

გზას უნდა უნათებდეს გონება, გარკვეული აზრი, გარკვეული პროგრამა. ამას კი პიესაში ვერა ვხედავთ. თვითონ მუშების კლასობრივი შეგნება, სოლიდარობა მეტათ სუსტათ არის პიესაში დახატული; აქ მუშები მართლა შეუგნებელ ბრბოს წარმოადგენენ, — ისინი ემორჩილებიან ჟანს, მაგრამ ემორჩილებიან იმიტომ კი არა, რომ მას გარკვეული აზრი ჰქონდეს, არამედ იმიტომ, რომ ის ენერგიული, გატაცებული და მტკიცე ხასიათის კაცია: ჟანი მართლაც რკინის კაცია, მას არ ეშინია ტყვიის, მას სიცოცხლე წყურია, ბედნიერება და ხედავს, რომ ბედნიერების გზაზე მას ბურჟუაზია ეღობება წინ, ამიტომ შეურიგებელი მტერია ბურჟუაზიისა; მას უნდა დაქცევა ამ ცარცვა-ყვლეფის წყობილებისა, ხოლო როგორს ემხრობა ის თვითონ, რა პროგრამით იბრძვის, პიესიდან ნათლათ, გარკვეულათ არა სჩანს, რადგანაც ჟანი ბუნებით სრული ინდივიდუალისტია, ამიტომ ეჭვს გარეშეა, პროლეტარული სოციალიზმისათვის ის არ იბრძვის, მას წყურია სიცოცხლე ინდივიდუალური, ნეტარება ინდივიდუალური, ბედნიერება ინდივიდუალური. ამგვარი მიდრეკილება ჟანს უფრო უახლოებს ანარქისტებს. მაშინ, როდესაც სოციალ-დემოკრატია იცავს იმგვარ წყობილებ ს, ანუ სოციალიზმს, სადაც კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე მოსპობილი იქნება და მთელი კაცობრიობა შეერთებული იქნება საერთო მეცნიერული წარმოების ნიადაგზე, ანარქისტები იცავენ იმგვარ წყობილებას, სადაც არავითარ კერძო საკუთრებას, არავითარ უფლებას, არავითარ საერთო წარმოებას ალაგი არ ექნება აქ ყველა შრომობს იმდენს, რამდენიც უნდა და აკეთებს მას, რაც უნდა სოციალიზმში ითხოვს საერთო წარმოებას, საერთო წარმოებისათვის კი საჭიროა, რომ პიროვნება შრომის საზღვრებში საერთო აზრს ექვემდებარებოდეს. ანარქიზმი კი უარყოფს საერთო წარმოებას, ანარქიულ წყობილებაში არ არის არავითარი საერთო სავალდებულო აზრი, აქ ყველა თავის ჭკუით ცხოვრობს, თავის აზრით ხელმძღვანელობს. მაშინ როდესაც სოციალიზმში მეცნიერების განვითარება არა თუ შესაძლებელია, ფრიად საჭიროც არის საერთო კეთილდღეობისათვის, საერთო წარმოებისათვის, ანარქიზმი ძირს უთხრის მეცნიერების განვითარებას და მეცნიერების პრაქტიკულათ გამოყენება წარმოებაში იქ არც საჭიროა და შეუძლებელიც არის, რადგანაც საერთო ბედნიერება უარყოფილია და ყველა თავი თვის ცხოვრობს, ყველა თავისთვის აწარმოებს. მეცნიერული წარმოება შესაძლებელია მხოლოთ სოციალისტურ საზოგადოებაში, ანარქიულ წყობილებაში კი ეს ყოვლათ შეუძლებელია, რადგანაც აქ გამეფებული ინდივიდუალური ცხოვრება, ინდივიდუალური წარმოება მეცნიერულ წარმოებისათვის კი აუცილებლათ საჭიროა საერთო წარმოება, რადგანაც მეცნიერული წარმოება დამყარებულია შრომის ფართო განაწილებაზე. სოციალდემოკრატები ახორციელებენ სოციალიზმს კლასთა ბრძოლით და პროლეტარიატის სოლიდარობით.

ანარქისტები კი დარწმუნებული არიან, რომ კლასთა ბრძოლა ინტერნაციონალურ პროლეტარიატისთვის საჭირო არ არის ბედნიერი წყობილების დასამყარებლათ; საკმარისია მხოლოთ ამბოხება, საერთო რევოლიუციის გამოწვევა და ამით განხორციელდება ანარქიული ცხოვრება. ამგვარათ მეცნიერულ სოციალიზმსა და ანარქიზმს შორის არაფერი არ არის საერთო; პროლეტარიატი, რომელიც ყოველ გაუმჯობესებას ცხოვრების გზაზე მხოლოთ ბრძოლით მოიპოვებს ხოლმე, შეუძლებელია ანარქიზმს მიემხროს, თუ კი ის საკმაო შეგნებას მოკლებული არ არის. პიესიდან ცხადათ ჩანს კლასთა ბრძოლის აუცილებლობა. კლასიური ანტაგონიზმი აქ სამაგალითო რეალიზმით არის დახატული. ბურჟაზიის წარმომადგენლები აქ საუცხოოთ არიან დასურათებული. ერთ მხარეზე დგანან კაპრონი, რიუორმელი და დელატრუდი, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ მუშები რაც შეიძლება უნდა შეავიწროვო, მუხრუჭი მოუჭირო, ისინი ადამიანებათ არც კი თვლიან პროლეტარებს და მზათ არიან, მისი სისხლით ქუჩები მორწყონ, რათა დათმობით კი არაფერს დაუთმობენ, მეორე მხარეზე დგას არგანდი, რომელიც ლიბერალური კაცია და ზრუნავს კიდეც თავისებურათ მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მიუხედავათ ამისა არგანდი მაინც მუშების სისხლსა ღვრის მხოლოთ იმიტომ, რომ მათ გაფიცვა დააპირეს რვა საათის სამუშაო დღის მოპოვებისათვის. თუ საუკეთესო ბურჟუა ასე ეპყრობა თავის მუშებს, ცხადია, რომ პროლეტარიატი მხოლოთ ბრძოლითა და ერთობით გააუმჯობესებს თავის ცხოვრებას; ბრძოლის, სოლიდარობისა და პროლეტარიატის სოციალიზმის აუცილებლობა აქედან აშკარა ხდება. ხოლო, როდესაც ავტორი ამის შემდეგ ჟანს ანარქიულ ნახტომების აკეთებინებს და მას ხუთი ათას მუშას უმორჩილებს, ეს სრულებით გაუგებარია და ნაძალადევი. უკანასკნელი მოქმედება პიესას ძალიან ამახინჯებს. მაშინ, როდესაც მეოთხე მოქმედების შემდეგ მაყურებელი მზათ არის, წამოხტეს და წითელ ბაირაღს გაყვეს უკან, მეხუთე მოქმედება მის აღფრთოვანებას ფრთებს აკვეცავს და სრულ სასოწარკვეთილებაში აყენებს, ბრძოლის სურვილს სრულებით უსპობს. ეს იმიტომ, რომ ბოლო მოქმედებაში უმთავრესი ყურადღება ავტორს მიუქცევია ბრძოლის ძნელი მხარისათვის: სხვერპლისა და ჭირისუფალთა გოდებისათვის, სამაგიეროთ ბრძოლის სპეტაკი მხარე, — გატაცება, თავდავიწყება და აღფრთოვანება გამარჯვების მოლოდინში — სრულებით ჩაჩრდილულია. მეოთხე მოქმედების შემდეგ მზათ ხართ — ადიმაზოთ შორს შიში, გაუმარჯოს ბრძოლასო, და ჩაერიოთ ბრძოლაში. მეხუთე მოქმედება კი ენასა და ხელფეხს გიბორკავს; უიმედობისა და შიშის ბურუსში გახვევთ და იმის მაგიერათ, რომ ბრძოლაში შეერიოთ, ერთ ალაგას ველარ ცილდებით, თითქოს რაღაც ძალამ დაგაკრაო. საერთოთ პიესა სცენიურათ მაყურებელზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

კორესპონდენცია.

ს. გეგუთა. (ქ. მაზრა) სოფლის მცოცრებნი თითქმის ნახევარი წელიწადი ჩამოშორდენ სამხრეთისაკენ მიმავალ მთავრობის ეოველგვარ დაწესებულებას და შინაურ საქმეების მოწესრიგებას საღხის მიერ არჩეული პირები განაგებენ. ქურდების გასამართლებაში თვით კრება იღებს მონაწილეობას. გეგუთლები ძლიერ შეწუხებული იყვნენ ქურდ-ბაცაცებისაგან; ოკანი არ მოიძებნება იმისთანა, რომელის წვერებიც არ აეტირებიან ცხარე ცრემლით ამ ღამის რაინდებს თავიანთი მსხვილ და წვრილფეხობაზე სადირობით, და არც გასაკვირია, თუ საღხმა მოთმინების საზღვარი დაკარგა, ქურდებს სასტიკათ საკის, თუმცა ვერაკვითარი სასასტიკე ქურდობას ვერ აღმოფხვრის, რადგან იგი ღვიძლი შვილია ბურჟუაზიულ წესწყობილების. ამას წინათ გეგუთელ ე. მელაძის სიმეს მოიპარა ქათმები. ეს „სახელოვანი“ სიმე გასამართლა კრებამ, ფესებში გაუბეს ტყვინის ბორკილი, იღლიებში ქათმები ამოუდეს და ამნაირათ დასტარებდეს ქუჩებში.

ძველი მთავრობის დროს გეგუთის გზებზე რაშიც ვერ გაივლიდა ტალახ-წუმეებში ჩაურჩენლად, ესლა კი საღხის მიერ არჩეულ პირების ხელმძღვანელობით მშვენიერი გზებია გაკეთებული და ძველსაც ანახლებენ. სიმინდის მოსავლით ემაყოფილია ხალხი. დ. მოძღვრება ხალხს ძლიერ იტაცებს და თავიანთ მასწავლებლებს სშირათ ხელში აუკანია და ასე ბროტესიით შემოვლით აკილდოკებს. ქალაქის მოაზრეთა ხელონლის ძვირათ გაყიდვა იწვევს გეგუთლებში უთანხმოებას და ესენიც ფიქრობენ მოახდინონ საზოგადო კრება სიმინდის ფასების მოძატების შესახებ და შედეგი კრებისა გაანონ ახლომახლო სოფლებს. წისქვილების მეპატრონეებმა დაუკლეს მინდები, წინათ ბათმნის მე—10-ს ამლეგდენ, დასაფქვავს, ახლა მე—16 ს ამლეგენ, გარდა ამ. მდინარების წისკვილისა, სადაც კიდევ წარმოებს მე—10-დიეძლევა. რაღაცა სრიგებისა გამო. ამ წისქვილის წყალზე გასვლა მეტათ სასიამოვნოა სადგურ რიონიდან გეგუთში მიმავლისათვის. ამ წყალზე, წისქვილის მეპატრონეთა მიერ, გადებულია ერთი ვიწრო ფიცარი „ბეწვის ხიდი“ წისქვლის ბერის ოავზე (წისქვილის ერთი მხრის კარები ამოჭილია), რომელზე გასვლა ცუდ ამიდში შეუძლებელია ფეხ დაუბიჯებლათ, და აი ისე გაკრისტალებულია წისქვილის მეპატრონეები, რომ „ბეწვის ხიდის თვის“ ორიოდე ფიცარი ვერ მოუმატებია, რომ უშიშრათ გაიარონ მათმა მუშტარებმა გეგუთლებმა, რომლებსაც სად. რიონზე გამოაქვთ წვანილი გასაყიდათ.

ბაცია.

რედაქტორ - გამომცემელი
გ. ლორთქიფანიძე.

ქუთაისი. ლიქტრონით სტრატ შეჭდავი ი. ბილაძის და ი. ხელაძისა, ჭუბინის ქუჩა, შანვის შენობაში.